ხელშეკრულება №276

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 29 ნოემბერი 2018წ.

ერთი მხრივ, სსიპ „ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი" (შემდგომში–დამკვეთი), წარმოდგენილი მისი სამხატვრო ხელმძღვანელის დიმიტრი ხვთისიაშვილის სახით და მეორე მხრივ, ფიზიკური პირი „ოთარ ბაღათურია" (შემდგომში – "შემსრულებელი'), ორივე ერთად წოდებული როგორც მხარეები, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით,"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის #99 2012 წლის 24 იანვრის განკარგულების შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, საკუთარი სახსრებით სპექტაკლის „ჩხიკვთა ქორწილი"-ს რეჟისორისა და ინსცენირების ავტორის მომსახურების შესყიდვა. კლ კოდი: CPV 92310000.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 მომსახურების ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში;

2.2. მომსახურების ღირებულება შეადგენს: 1130 (ერთი ათას ასოცდაათი ლარი ნული თეთრი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

3. მომსაურების მიღება–ჩაბარების წესი

3.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულად ჩაითვლება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე. რომელიც დადასტურდება დამკვეთისა და შემსრულებლის მიერ საამისო უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

4. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

4.1 მომსახურების გაწევის ადგილია: ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ. #99

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, უნაღდი ანგარიშსწორების წესით;

4.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მხრიდან განხორციელდება, ფაქტიურად გაწეული მომსახურების საფუძველზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა.

4.5 მომსახურებას გაწევა ვადა: არაუგვიანეს 2018 წლის 14 დეკემბრისა.

5. ხელშეკრულების ხარისხი და გარანტია

5.1 შემსრულებელი იძლევა გარანტიას, რომ მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

5.2. შემსრულებელი იძლევა გარანტიას, რომ ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისთვის არ აქვს დადებული რაიმე სხვა ხელშეკრულება და არ აუღია რაიმე ვალდებულება, რომელიც ხელს შეუშლის, შეაფერხებს ან შეუძლებელს გახდის წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესრულებას.

5.3. შემსრულებელი აცხადებს და ადასტურებს, რომ დაიცავს საქართველოს კანონს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" ამ კანონის უგულველყოფისათვის შემსრულებელი თავად აგებს პასუხს მესამე პირის მიმართ.

6. საავტორო უფლებების შესახებ

6.1.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შემდგომში სპექტაკლთან დაკავშირებულ ,,რეჟისორისა და ინსცენირების ავტორის'' მომსახურებაზე ვრცელდება ,,საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ'' მოქმედი კანონმდებლობა და საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის მიერ დამტკიცებული საპროცენტო განაკვეთი/ტარიფი.

6.2.წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სპექტაკლის საჯარო შესრულებისათვის ,,დამკვეთი შემდგომში-თეატრი'' იღებს ვალდებულებას გადაიხადოს საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის მიერ დამტკიცებული საპროცენტო განაკვეთი/ტარიფი.

7. მხარეთა უფლება–მოვალეობანი

7.1 დამკვეთი ვალდებულია:

7.1.1 „შემსრულებელს" შეუქმნას შრომის პირობები და უზრუნველყოს იგი მოვალეობის შესრულებისთვის აუცილებელი აქსესუარებით.

7.1.2 უზრუნველყოს სცენის,სარეპეტიციო დარბაზის, ტექნიკური და მომსახურე საამქროების სამუშაო მზადყოფნა.

7.1.3 მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

7.2 შემსრულებელი ვალდებულია:

7.2.1. მონაწილეობა მიიღოს ყველა იმ ღონისძიებაში რომელიც სპექტაკლს უკავშირდება (პრეზენტაცია. პრესკომფერენცია, რეკლამირება და სხვა)

7.2.2 დროულად და სრულად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.2.3 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 30 იანვრის ჩათვლით.

9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების მიმართ, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისთვის, გარდა საქართველოს კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობის გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.2 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების თავდაპირველი ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია 10%-მეტი ოდენობით.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

10.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

10.2 იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, მეორე მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს, ხოლო ასეთ შემთხვევაში დამრღვევი მხარე ვალდებულია გადაიხადოს ჯარიმა შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების/გადასახდელი თანხის 0.02%–ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

10.3 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინაე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

10.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

10.5 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

10.6 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11, ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშკრულების დამდებ არცერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1.ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. მომსახურების შემოწმების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების გაწევისას, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და მოთხოვნებთან;

13.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან განახორციელებს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი დიმიტრის ხვთისიაშილი და თეატრის დირექტორი თამარ ლორთქიფანიძე.

13.3 მომსახურების გაწევის შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან/და დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით;

13.4 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე გამოვლენილი დეფექტის ან/და ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14, ფორს–მაჟორი

14.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავინთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ;

14.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე;

14.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს–მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

15. სხვა პირობები

15.1 არც ერთ მხარეს აქვს უფლება თავისი უფლებები და მოვალეობები გადასცეს მესამე პირს, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

15.2 მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

15.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ერთი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი ინახება მიმწოდებელთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

15.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

დამკვეთი:
სსიპ „ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი"
მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. #99/1
ს/კ 202063989
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TRESGE22
მიმღების ანგარიში/ სახაზინო კოდი_ 708199800

შემსრულებელი:
ფიზ/პირი „ოთარ ბაღათურია"
მის: ქ.თბილისი, გამრეკელის ქ.55
პირადი: 01009002076
სს „თიბისი" ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ნ GE64TB7383245061600006

სამხატვრო ხელმძღვანელი:

/დ.ხვთისიაშვილი/

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, „სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი"-ის სამხატვრო ხელმძღვანელი დიმიტრი ხვთისიაშვილი ხელის მოწერით ვადასტურებ, რომ 2018 წლის 29 ნოემბერს გაფორმებული N276 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელებაში ფიზ/პირი „ოთარ ბაღათურია"-ს (პირადი ნომერი: 01009002076) მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

სამხატვრო ხელმძღვანელი : /დ.ხვთისიაშვილი/